

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის QA მუშაობის
ძირითადი PDCA
ნ ე ს ი

2019 წ

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტიში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, ხარისხის განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მოქმედი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწას, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმვა - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს.

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის QA მუშაობის საერთო PDCA პრინციპებია:

P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის საქმიანობა იგეგმება მუშაობის საერთო PDCA პრინციპების შესაბამისად, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ/შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემოწმების კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შეიმუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, თავად ამოწმებს ან/და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემოწმებელთა ჯგუფს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანებების წარმოქმნის მიზეზებს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს, კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე:

დაგეგმვა. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის და წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სასწავლო წლისთვის განსაზღვრავს ჩასატარებელ სამუშაოს, რასაც ასახავს ყოველწლიურ სამუშაო (სამოქმედო) გეგმაში.

განხორციელება. განხორციელების მოსამზადებელი ეტაპებია: შემოწმების თანამიმდევრობის განსაზღვრა, შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრა; შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შეიმუშავება; შეფასების პროცედურის, შეფასებისა და შედეგების ანალიზის ფორმის შეიმუშავება, შემფასებლ(ებ)ის კომპეტენციების განსაზღვრა შესაფასებელი ობიექტის შესაბამისად. შემოწმების/შეფასების ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ან/და შემოწმების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც უნდა შევიდნენ სათანადო კომპეტენციის მქონე სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლები ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მონვეული პირები. მონიტორინგის ჯგუფის წევრი ვერ იქნება შესაფასებელი სტრუქტურის თანამშრომელი, შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორი. უშუალოდ შეფასების ეტაპის დაწყებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის ჯგუფის წევრებს

განუმარტავს შესაფასებელი ობიექტის და ჩასატარებელი შეფასების სპეციფიკას, გააცნობს დასახულ ამოცანებს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარებს ტრენინგს.

შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- სასწავლო წლის განმავლობაში ატარებს სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;
- ატარებს გამოკვლევას რეალურად მიმდინარე და სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული სასწავლო პროცესების თანხვედრის დადგენის მიზნით;
- შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს და ატარებს სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის დადგენის მიზნით;
- შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს და ატარებს სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას აკადემიური პერსონალის, მონვეული სპეციალისტების და მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, მათი პედაგოგიური უნარ-ჩვევების, შესაბამის დარგში არსებული სიახლეების ფლობისა და სტუდენტებისთვის მათი მიწოდების გამოკვლევის მიზნით;
- უშუალოდ სტუდენტებთან საუბრისა და ანონიმური გამოკითხვის მეშვეობით სტუდენტთა ხელშეწყობის სერვისის უზრუნველყოფასა და ხარისხს ამოწმებს;
- შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს და ატარებს აკადემიური პერსონალის, მონვეული სპეციალისტების და მასწავლებლების ანონიმურ გამოკითხვას;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შედგენის უნიფიცირებულ ინსტრუქციებს;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შეფასების (შემოწმების) უნიფიცირებულ ფორმას და ახდენს სასწავლო კურსების სილაბუსების შემოწმებას ამ ფორმის მიხედვით;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმების შედგენის უნიფიცირებულ ინსტრუქციას;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შეფასების უნიფიცირებულ ფორმას და ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმების შემოწმებას ამ ფორმის მიხედვით;
- ამოწმებს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას;
- შეისწავლის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ამოწმებს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობას, მდგომარეობას და მის შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასთან;

- ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის, სასწავლო პროცესში მის გამოყენების და პროგრამული უზრუნველყოფის შემოწმებას და ადგენს შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებთან;
- სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროებისამებრ, მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურების ხელმძღვანელებს;
- ახორციელებს სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას.

შემოწმება. შემოწმების/შეფასების პროცესი მოიცავს საკუთრივ შემოწმების/შეფასების პროცესს; მონიტორინგის ჯგუფის გამართული მუშაობის მიზნით შესაბამისი სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან აუცილებელი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა და მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის კონტროლი, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემოწმდება: საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური/მონვეული პერსონალი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და სხვ.

- საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/ მოდულები/პროგრამის კომპონენტები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას შემოწმდება რამდენად: შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო უნივერსიტეტის მისიას; ადეკვატური მიზნების და შედეგების მიღწევაა დასახული; შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ კომპეტენციებს და მისა-ნიჭებელ კვალიფიკაციას; უზრუნველყოფს სწავლების ფორმატი და სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევისათვის; შეესაბამება სტუდენტთა მიღწევების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები კანონმდებლობით დადგენილ წესს; რაციონალურადაა დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების პროცესი; უზრუნველყოფილია პროგრამა მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით და სხვ. სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტების შეფასებისას შემოწმდება რამდენად: რაციონალურადაა განაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები სასწავლო კურსის კრედიტების ფარგლებში; ადეკვატურადაა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი; თანხვედრაშია სწავლის მიზნები, სასწავლო კურსის შინაარსი და მისაღწევი შედეგები; შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსი და მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; მრავალკომპონენტიანი და გამჭვირვალეა სტუდენტის მიღწევათა შეფასება; შესაძლებელია სასწავლო კურსის მიზნებისა და სასწავლო

კურსის შესწავლის შედეგად შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და სხვ.

სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემონმდება რამდენად: შეესაბამება რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით და სასწავლო კურსებით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს; პასუხისმგებლობით ეკიდება აკადემიური/მონვეული პერსონალი დაკისრებულ ვალდებულებებს; უზრუნველყოფილია სტუდენტთა დახმარების და მხარდაჭერის სერვისი; უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ხარისხი და საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატური პირობები და სხვ. ამ მიმართულებით, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის ფორმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემონმების ფორმა;
- სასწავლო კურსის სილაბუსის ფორმა;
- სასწავლო კურსის სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია;
- სასწავლო კურსის სილაბუსის შემონმების ფორმა; ○ სტუდენტთა და აკადემიური/მონვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანკეტები;

საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობის უზრუნველყოფის მიზნით მოხდება საგანმანათლებლო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა და საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის პროცესში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური/მონვეული პერსონალის და პოტენციური დამსაქმებლების ჩართვა (შემუშავებულია პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვის ანკეტები მათი აზრისა და კურსდამთავრებულების პრიორიტეტული კომპეტენციების შესწავლის მიზნით). სტუდენტთა და აკადემიური/მონვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს. საგანმანათლებლო პროგრამის შემონმების შედეგები ეცნობა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის დეკანს და წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების შედეგები ეცნობა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორს. სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები და ინსტრუქციები;

▪ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სასწავლო პროცესში გამოყენების შიდა შემონმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, მონვეული

სპეციალისტებისთვის და მასწავლებლებისთვის. აუცილებელი მატერიალური რესურსის საჭიროება დგინდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის და მოთხოვნების შესაბამისად. შემონახვას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და შესაბამისი ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსება-განახლება, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა და სხვ.), კომპიუტერული ტექნიკა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა (არსებობა, გამართული მუშაობა, განახლების საჭიროება, ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის და აკადემიური/მონვეული პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერ-ნეტი და სხვ.), ვებ-გვერდი (უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციოსაინფორმაციო ფუნქციას და ასახავდეს აქტუალურ ინფორმაციას და სხვ.). შემონახვის შედეგების ანალიზი განიხილება შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი პროგრამების ფაკულტეტის საბჭოზე. ადამიანური რესურსების შეფასებისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მონვეული სპეციალისტების და მასწავლებლების მიერ გამოცემული (მათ შორის თანაატორობით) სამეცნიერო-კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის ნაშრომების თემატიკა და თარიღები, საგანმანათლებლო პროგრამის (სასწავლო კურსის) სპეციფიკის შესაბამისი გამოცდილების არსებობა, სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა, ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროცესში ან პრაქტიკულ საქმიანობაში და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირს უნდა შეეძლოს:

- სასწავლო პროცესის გაძლიერება;
- სტუდენტებთან საქმიანი და სამართლიანი ურთიერთობების დამყარება; ○ სტუდენტების მიღწევების ობიექტური შეფასება გამჭვირვალე და სამართლიანი მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით;
- სტუდენტების მიღწეული შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობა და კონსულტაციების მეშვეობით სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა; ○ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ხელშეწყობა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის ლოგიკური კავშირისა და მათი შესწავლის თანმიმდევრობის გააზრება და ამის საფუძველზე სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობების განსაზღვრა;
- სასწავლო კურსის კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოპტიმალური განაწილება;
- სასწავლო კურსის შესასწავლ საკითხებს შორის საკონტაქტო საათების რაციონალური განაწილება;
- სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების მიზნ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება;

- სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა; ○ სასწავლო კურსის შინაარსში თანამედროვე კონცეფციების, მიდგომების და ინფორმაციის გათვალისწინება;
- სასწავლო კურსთან დაკავშირებულ სფეროში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეებისა და ტენდენციების ცოდნა და სტუდენტებისთვის მიწოდება;
- შესასწავლი მასალის გადაცემისა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; ○ თანამედროვე და სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატური ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სილაბუსში მითითება.

რეაგირება. ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დასკვნების და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით მომზადებასა და ზეპირ წარდგენას. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა შესაფება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საჭირო ხდება სათანადო რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება. ამ მიზნით მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და ანონიმური გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახური ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში:

- ანონიმური გამოკითხვის და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს იყენებს სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარებაში და ამოწმებს ჩასატარებელი ღონისძიებების დროულად შესრულებას;
- შეიმუშავებს შესამოწმებელი რესურსის, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის სტანდარტებთან შეუსაბამისობის აღმოფხვრის ინსტრუქციებს და ღონისძიებებს, ამოწმებს შესრულებული სამუშაოს შედეგებს;
- ადგენს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების განახლება-სრულყოფის და შეძენის საჭიროებას და ამოწმებს მისი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასთან შესაბამისობას;
- ადგენს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-განახლებისა და სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან შესაბამისობაში მოყვალის აუცილებლობას და ამოწმებს წიგნადი ფონდის შევსებას;
- ადგენს კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება-განახლების, სასწავლო პროცესში მისი გამოყენების შესაძლებლობის და პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობას და დაგეგმილი ღონის-ძიებების შესრულებას;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში, მათი საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების ან ახალ დებულებების შემუშავების აუცილებლობის შესახებ;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების ან ახალი დებულებების შემუშავების აუცილებლობის შესახებ;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში შესატანი ცვლილებებს სტუდენტთა ხელშეწყობის და მხარდაჭერის სერვისის უზრუნველყოფისა და ხარისხის ამაღლების მიზნით;
- აანალიზებს და შედეგებს წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს;
- აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სტუდენტების, ფაკულტეტის პერსონალის ანონიმური გამოკითხვების შედეგებს და ხარვეზების წარმოქმნის მიზნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის სრულყოფის და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით; ▪ კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს და სხვ.

წინამდებარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (PDCA ციკლი) და მისი რეალიზებით მიღწეული შედეგები (შემუშავებული რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმები და სხვ.) მიზნად ისახავს არსებულ სტანდარებთან შესამამისობის მიღწევას, სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ სრულყოფას და ხელს შეუწყობს სასწავლო უნივერსიტეტში ეფექტური, ადეკვატური და სტრატეგიულად სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება-განხორციელებას.

SWOT ანალიზი

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ

საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ანალიზი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ შედგენილი ე.წ. SWOT-ანალიზი,

რომელიც ასახავს სასწავლო უნივერსიტეტის შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობების, საფრთხეებს და რისკებს გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ობიექტული შეფასების მიზნით უნდა მოხდეს ორი სასწავლო წლის შედეგების შედარება, რა მიზნითაც უნდა მოხდეს მიმდინარე და მომდევნო სასწავლო წლების SWOT-ანალიზების შედარება. ამ ორი SWOT ანალიზის შედარებით

შესაძლებელი იქნება იმის დადგენა როგორ განვითარდება და საერთოდ განვითარდა თუ არა სასწავლო უნივერსიტეტი, რა პრობლემები იყო გადაჭრილი და რა ახალი პრობლემები გაჩნდა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.

შიდა გარემო		გარე ფაქტორები	
ძლიერი მხარეები - Strengths		შესაძლებლობები - Opportunities	
სუსტი მხარეები - Weaknesses		საფრთხეები, რისკები - Threats	

თვითშეფასების მიზანია დანესებულების სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურების დანერგვა, შესრულებული სამუშაოს სისტემატური კრიტიკური შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირებისა და განვითარების გზების დასახვა;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული თვითშეფასების შედეგები გამოიყენება, როგორც ხარისხის განვითარების შიდა - პროგრამის განვითარება, რესურსების განვითარება, ფინანსური ეფექტიანობის ამაღლება და ა. შ. - ასევე გარე - ავტორიზაცია, აკრედიტაცია - პროცედურებისათვის. თვითშეფასების პროცესს კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელშიც ჩართულია სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულები; თვითშეფასების პროცესის დაგეგმარების დროს მხედველობაში მიიღება

პროცესის უწყვეტად განხორციელების უზრუნველყოფისა და შედეგებზე რეაგირების საქმიანობაში დროულად დანერგვის აუცილებლობა.

სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, რომელის გადაწყვეტილების საფუძველზე მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განიხილება პროგრამის შემდგომი სრულყოფის სამოქმედო გეგმა.

პროგრამის აქტუალურობა შეიძლება დასაბუთდეს რამოდენიმე ფაქტორით. პროგრამის აქტუალობის დასაბუთების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას

- ა) პროგრამის შემუშავებისას დამსაქმებელთა, პროფესიული ასოციაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი;
- ბ) არსებული დასკვნები და გამოხმაურებები პროგრამასთან დაკავშირებით;
- გ) რამდენად ითავალისწინებს პროგრამა დამსაქმებელთა და პროფესიული ასოციაციების, აგრეთვე სტუდენტთა და მათი მშობლების მოთხოვნებს; დ) შრომის ბაზრის მოთხოვნები.

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული მასალა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს და ამოცანებს; პროგრამაში ასახული მასალა უნდა იყოს ახალი და ასახავდეს მოცემულ დარგში დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებს;

დადებით ფაქტორად უნდა იყოს მიჩნეული, თუ გამოყენებულია საერთაშორისოდ აღიარებული პროფესიული ასოციაციების, ორგანიზაციების ან ჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, სტანდარტები, საცნობარო, სასწავლო, ლიტერატურა; სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად მასალას - სტუდენტებისათვის მისაწოდებელ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი ან ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის სახით. უნდა შეფასდეს, იძლევა თუ არა პროგრამაში მოცემული სწავლების მეთოდები დასახული ამოცანების გადაჭრისა და გათვალისწინებული უნარების განვითარების საშუალებას. თუ პროგრამა მიზნად ისახავს პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას, შესაბამისად პროგრამაში გამოყენებული უნდა იყოს მეთოდები, რომლებიც სტუდენტს საშუალებას მისცემს პრაქტიკულად შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. ეს შეიძლება იყოს სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, იმიტირებული სამუშაო გარემო, საძიებო და საცნობარო სისტემები და სხვა.

გამოყენებული უნდა იყოს სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელის აქტიურ მონაწილეობას: დისკუსიას, კონკრეტული შემთხვევების ანალიტიკურ გარჩევებს, სიტუაციურ ამოცანებს, წინასწარ მიცემული

დავალების საფუძველზე მომზადებულ სტუდენტთა მოხსენებებს, სიტუაციის იმიტაციას და სხვა;

უნდა შეფასდეს პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო ტექნიკური საშუალებების არსებობის საკითხი, რაც სწავლების მეთოდების ადეკვატური უნდა იყოს. სწავლის მეთოდების შესაბამისობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება;

ა) მათი შესატყვისობა (უზრუნველყოფს, გავლენას არ ახდენს/ვერ უზრუნველყოფს) პროგრამით/მისი კომპონენტით დასახულ სწავლის შედეგის/კომპეტენციის ფორმირებაზე (შეფასების მეთოდოლოგია - გაუსის მეთოდი, გამოკითხვა, პირდაპისი შეფასება);

ბ) ფაკულტეტის პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლის მეთოდოლოგიის ანალიზი, რომელიც მიიღება სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ (შეფასების მეთოდოლოგია - ინტერვიუ, სწავლის მეთოდოლოგიის შეფასების კითხვარი, საგნის სწავლების განახლებული კონცეფცია)

გ) სტუდენტების მიერ სწავლის მეთოდოლოგიით კმაყოფილების კვლევა (შეფასების მეთოდები - ანკეტირება) სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს, რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა შეფასების მეთოდები. შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დადგენილ წესს. ხომ არ ატარებს სტუდენტთა შეფასება, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანი. რამდენად დასაბუთებულადაა გადანაწილებული ქულები კომპონენტებს შორის. შეფასების სისტემის კომპონენტები იმდაგვარად უნდა იყოს განწერილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თითოეული სახის კომპეტენციის (კოგნიტური, პრაქტიკული, ანალიტიკური, კომუნიკაციური და ღირებულებითი) გამომუშავების შეფასება ამ კომპეტენციისთვის დამახასიათებელი უნარის შეფასების მეთოდის გამოყენების გზით. შეფასების სისტემის ანალიზის პროცესში ფასდება სტუდენტთა შეფასების შედეგების, ცოდნის ნაკლოვანებებისა და გამოსწორების გზების შესახებ ინფორმირებულობა; უნდა განისაზღვროს, დაკავებულია თუ არა პროგრამის განხორციელებაში სათანადო მომზადების და კვალიფიკაციის პერსონალი, საკმარისია თუ არა მათი რაოდენობა. ამასთან, უნდა შეფასდეს, როგორც პედაგოგების, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაცემები;

ფაკულტეტის პერსონალის შეფასებისას მხედველობაში მიიღება;

ა) სამეცნიერო გამოცდილების განვითარება სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში (შეფასების ინდიკატორები, ახალი პუბლიკაციების, მოხსენებების, სამეცნიერო კვლევითი გრანტების არსებობა)

ბ) პედაგოგიური მუშაობის განვითარება სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში (შეფასების ინდიკატორები - სილაბუსის სრულყოფა, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა)

- გ) პრაქტიკული გამოცდილების განვითარება (ინდიკატორები - დარგის განვითარებისათვის საკვანძო მნიშვნელობის პოზიციებზე მუშაობა, დარგის პოლიტიკის განსაზღვრაში ან განხორციელებაში ჩართულობა)
- დ) კურიკულუმის განვითარებაში მონაწილეობა (შეფასების ინდიკატორები - ახალი სასწავლო კურსების შეთავაზება, რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით)
- ე) სტუდენტებზე ორიენტირებულობა (შეფასების ინდიკატორები - სტუდენტების კმაყოფილების დონე, საჩივრების რაოდენობა, ანონიმური გამოკითხვის შედეგები)
- ვ) სამუშაო დროის განაწილება (შეფასების ინდიკატორები - დანესებულებების რაოდენობა, რომელშიც დასაქმებულია თაკულტეტის პერსონალი, აკადემიური დატვირთვის რაოდენობა, კურიკულუმსგარეთ აქტივობებში ჩართულობა)
- მონვეული პერსონალის შეფასებისას მხედველობაში მიიღება;
- ა) პედაგოგიური მუშაობის განვითარება სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში (შეფასების ინდიკატორები - სილაბუსის სრულყოფა, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა)
- ბ) პრაქტიკული გამოცდილების განვითარება (ინდიკატორები - დარგის განვითარებისათვის საკვანძო მნიშვნელობის პოზიციებზე მუშაობა, დარგის პოლიტიკის განსაზღვრაში ან განხორციელებაში ჩართულობა)
- გ) კურიკულუმის განვითარებაში მონაწილეობა (შეფასების ინდიკატორები - ახალი სასწავლო კურსების შეთავაზება, რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით)
- დ) სტუდენტებზე ორიენტირებულობა (შეფასების ინდიკატორები - სტუდენტების კმაყოფილების დონე, საჩივრების რაოდენობა, ანონიმური გამოკითხვის შედეგები)
- ადმინისტრაციის პერსონალის მუშაობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება
- ა) დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა (მხედველობაში მიიღება კვალიფიკაციის შესატყვისობა დაკავებულ თანამდებობასთან, შესაბამის თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა)
- ბ) პროფესიული კომპეტენცია (მხედველობაში მიიღება ხელმძღვანელობის მიერ დასახული გეგმის შესრულება, დაკისრებული სამუშაოს წარმატებით განხორციელება, შინაგანაწესისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულება, აკადემიურობა და სამუშაო ჯგუფში კომუნიკაცია)
- გ) სტუდენტებზე ორიენტირებულობა (შეფასების ინდიკატორები - სტუდენტების კმაყოფილების დონე, საჩივრების რაოდენობა, ანონიმური გამოკითხვის შედეგები)

გამოკითხვა ხორციელდება ანონიმურობის, პროფესიული ეთიკისა და თანამშრომლობით პროფესიული განვითარების პრინციპების დაცვით. საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ განზოგადებული და დამუშავებული მასალები.

შეფასებისას შესაძლოა გამოყენებული იყოს რესპოდენტთა ზეპირი ან ანკეტური გამოკითხვები.

მონიტორინგის პროცესი გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე ან მის ცალკეულ ეტაპზე დაკვირვებას სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მიერ; მონიტორინგის შედეგები არ უნდა ისახავდეს კანონმდებლობით უზრუნველყოფის, სწავლისა და სწავლების აკადემიური თავისუფლების შეზღუდვას; მონიტორინგის ფორმებია;

ა) ლექციებსა და პრაქტიკულებზე დასწრება;

ბ) სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა;

გ) პირდაპირი შეფასება;

დ) საჩივრებისა და წინადადებების განხილვა.

გარდა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ანკეტებისა, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს პოტენციური დამსაქმებლების და საწარმოო პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების გამოკითხვას.

სასურველია გამოყენებული იყოს კურსდამთავრებულების გამოკითხვის ელექტრონული ფორმები. შემუშავდეს, გაიწეროს და დაინერგოს კითხვარების ანალიზისა და ანალიზის შედეგების ეფექტური გამოყენების მექანიზმები.

გარდა კითხვარებისა, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის სხვა ფორმებიც შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ზეპირი გამოკითხვა; შეხვედრები; წინადადებების ყუთი; ვებ-გვერდი; ელექტრონული ფოსტა; სოციალური ქსელები და სხვა, ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის საქმიანობისათვის ასევე რეკომენდირებულია შემდეგი მექანიზმებისა და ღონისძიებების განხორციელება: მასწავლებლების შეფასება „თანასწორების“ მიერ (peer review), ბენჩმარკინგის გამოყენება (წარმატებულ დაწესებულებებთან შედეგების შედარება); ხელმძღვანელობის და პერსონალისთვის ხარისხის საკითხების რეგულარული სწავლება.

ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სპეციალისტი პროგრამების შეფასების პროცესში ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმებით, რაც მოიცავს, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი პროგრამა ზემოთ მოხსენიებულ კრიტერიუმებს და ამის საფუძველზე იძლევა დადებით ან უარყოფით დასკვნას. ამასთან, უარყოფითი დასკვნის საფუძველზე უნდა მიეთითოს, რომელი კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა პროგრამამ, რაც თავის მხრივ, პროგრამის სრულყოფის საფუძველი გახდება.

სასწავლო უნივერსიტეტში მუდმივად ხორციელდება სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სრულყოფა. სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობითი სტრუქტურული ერთეულები მუდმივად ზრუნავენ ხარისხის

უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობენ სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას; სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს აძლევს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას; სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების მიზანია სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა, შესრულებული სამუშაოს სისტემატური კრიტიკური შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირებისა და განვითარების გზების დასახვა; ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული თვითშეფასების შედეგები გამოიყენება, როგორც ხარისხის განვითარების შიდა - პროგრამის განვითარება, რესურსების განვითარება ფინანსური ეფექტიანობის ამაღლება და ა. შ. - ასევე გარე - ავტორიზაცია, აკრედიტაცია - პროცედურებისათვის. თვითშეფასების პროცესს კორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელშიც ჩართულია სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები; თვითშეფასების პროცესის დაგეგმარების დროს მხედველობაში მიიღება პროცესის უწყვეტად განხორციელების უზრუნველყოფისა და შედეგებზე რეაგირების საქმიანობაში დროულად დანერგვის აუცილებლობა.

სასწავლო პროცესის განხორციელების შიდა და გარე საუნივერსიტეტო შეფასება სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები

- 1.1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის სასწავლო უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:
 - ა) ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში" წარდგენა;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტში რეალიზებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება; გ) აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;
 - დ) აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი;

ე) პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად;

1.2 სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს მათ თაობაზე შიდა საუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენციებს, სწავლობს უცხოურ პრაქტიკას და ხელს უწყობს მის დანერგვას.

2. შიდა შეფასების (თვითშეფასების) მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები:

2.1. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) შეიმუშავებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის ინსტრუქციებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სტანდარტების მიხედვით;

ბ) სასწავლო წლის დასაწყისში საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ წინადადებებს;

გ) შეარჩევს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შემფასებელს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამზადებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან შემფასებელს, უზრუნველყოფს პროგრამის შეფასებისას კონფიდენციალობის დაცვას; შიდა შემფასებელი (ექსპერტი), არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები;

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას სწავლების ყველა საფეხურისათვის;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის გზამკვლევეს შიდა შეფასების ექსპერტებისთვის;

გ) სილაბუსის შეფასების ფორმას და უზრუნველყოფს შიდა შემფასებლის მიერ მის შევსებასა და დასკვნის წარმოდგენას;

2.3 შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების მიზნით რეკომენდაციებსა და კრიტერიუმებს.

3. გარე შეფასების მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები:

3.1. სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ახალი ვადით მოპოვების მიზნით 5 წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს განაცხადს, ავსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარს და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ შესაბამისობის დადგენის მიზნით იწვევს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტებს;

3.2. სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარუდგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

3.3. სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფარგლებში უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განაცხადოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატების შესახებ და შესაბამისი პროცედურების გასაუფლელად მოიწვიოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ექსპერტები;

3.4. სასწავლო უნივერსიტეტი ახალი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამატების მიზნით უფლებამოსილია შეავსოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, წარუდგინოს სააკრედიტაციო განაცხადი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შესაბამისი პროცედურების გასაუფლელად მოიწვიოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები;

3.5. სასწავლო უნივერსიტეტი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და პროგრამების ინტენაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერების მიზნით ნებაყოფლობით და სურვილისამებრ იწვევს უცხოელ ექსპერტებს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში არჩევს გარე შემფასებლებს.

3.6. უცხოელი ექსპერტისა ან/და გარე შემფასებლის მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით.

4. აკადემიური პერსონალის შეფასება

4.1. აკადემიური პერსონალის ხარისხის შეფასება და განსაზღვრა ხორციელდება ორი მიმართულებით:

ა) სწავლების კომპეტენციის დადგენით;

ბ) სამეცნიერო კომპეტენციის დადგენით.

4.2. აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის დადგენისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სილაბუსის შემუშავება, სწავლების და შეფასების სწორი მეთოდების გამოყენება;

ბ) პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

გ) ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება;

დ) სტუდენტის სამართლიანი შეფასება;

ე) დარგობრივი კომპეტენციების ცოდნა;

ვ) სასწავლო კურსის განხორციელების პროცესის მართვა;

ზ) კონსულტაციების გამართვა.

4.3. აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

ა) აკადემიური პერსონალის თვითშეფასება;

ბ) აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;

გ) შეფასება სტუდენტის მიერ;

დ) სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;

ე) სილაბუსის შემოწმება.

4.4. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციის შეფასებისას სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სპეციალურ ფორმებს;

4.5. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება აკადემიური პერსონალის შეფასების მნიშვნელოვანი მეთოდია, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტა-კითხვარებს;

4.6. სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის ბოლოს; გამოკითხვა არის ანონიმური და აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა;

4.7. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, მათი საჯაროდ გამოქვეყნება და რეკომენდაციების წარდგენა.

4.8. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს რეკომენდაციებს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

5. სტუდენტთა შეფასება

5.1. სასწავლო პროცესის შეფასების უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება;

5.2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დგინდება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული საგნების სირთულის ხარისხი და ღონე;

ბ) შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;

გ) აკადემიური პერსონალის პედაგოგიური უნარ-ჩვევები;

დ) სტუდენტების მომზადების ღონე.

5.3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განზოგადებული ანალიზის შედეგები ქვეყნდება საჯაროდ თჰუ ვებგვერდზე დიაგრამების სახით, ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა ან/და სასწავლო კურსების მიხედვით.

5.4. აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით.

6. პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი

6.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: დამსაქებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები;

6.2. აღნიშნული პირების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევის მეთოდით;

6.3. კვლევა ტარდება გამოკითხვის მეთოდით;

6.4. კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევს შესაბამის მიმართულებებს - უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნილებები და სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული პროგრამის განვითარების მიმართულებით.

6.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც ადგენს სხვადასხვა სახის კითხვარებს;

6.6. გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც სასწავლო უნივერსიტეტს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის შეფასების წესი სასწავლო პროცესის უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით ეს წესი ადგენს სწავლების ხარისხის შეფასების პროცედურას და ფორმებს.

1. მიზანი

1.1 ამ წესის მიზანია სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

1.2 სწავლების ხარისხის მაჩვენებელია საგანმნათლებლო პროგრამების ხარისხი, სასწავლო პროცესის ორგანიზების დონე, მისი მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფა.

1.3 სწავლების ხარისხის შეფასებისათვის მოწმდება:

- საგანმნათლებლო პროგრამა და ცალკეული სასწავლო კურსები;
- აკადემიური პერსონალის კომპეტენტურობა;
- საუნივერსიტეტო გარემო;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმება.

2. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი

2.1 სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებიდან:

დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე-განავითარე.

დაგეგმე - წინამდებარე წესით დადგენილია სასწავლო პროცესის რომელი ასპექტები რა პერიოდულობით და თანმიმდევრობით, რომელი კრიტერიუმით და ვის მიერ იქნება შეფასებული.

განახორციელე - სწავლების ხარისხის შეფასების განხორციელება ხდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით და პირების მიერ.

შეამოწმე - განხორციელებული კვლევით მიღებული ინფორმაციის ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგები ეცნობება ფაკულტეტის საბჭოს.

განავითარე - ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს ნაკლოვანებების მიზმს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს. ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში დასახავს არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმებს.

3. სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები

3.1 სასწავლო პროცესის თბილისის დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით გამოიყენება სწავლების ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

ა) ლექტორის საქმიანობის შეფასება;

ბ) სტუდენტთა გამოკითხვა;

გ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;

დ) დასაქმებული კურსდამთავრებულის და მისი დამსაქმებლის გამოკითხვა;

ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა;

ვ) პროგრამის ექსპერტიზა უცხოელი ანდა ადგილობრივი ექსპერტის მიერ.

4. ლექტორის შეფასება ლექტორის საქმიანობის შეფასება ხდება კომპლექსურად შემდეგი ხერხებით:

ა) ლექტორის თვითშეფასება;

ბ) ადმინისტრაციის მიერ ლექტორის შეფასება;

გ) სტუდენტთა გამოკითხვა.

5. ლექტორის თვითშეფასება

5.1 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მონვეული სპეციალისტი სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების მიწოდების შემდეგ ავსებს დადგენილ თვითშეფასების ფორმას.

5.2 აკადემიური პერსონალისა და მონვეული სპეციალისტების თვითშეფასების ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი და შევსებულ ფორმებს აწვდის ხარისხის მართვის სამსახურს. შესაძლებელია ფორმების ელექტრონული სახით შევსება.

5.3 აკადემიური პერსონალის და მონვეული სპეციალისტის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმებს ამუშავებს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

6. ადმინისტრაციის მიერ ლექტორის შეფასება

6.1 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მონვეული სპეციალისტების საქმიანობის შეფასება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

6.2 ადმინისტრაცია ლექტორის შეფასებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურსკულუმების შემუშავებაში მონაწილეობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების და შედეგების დროული მიწოდება, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატის სილაბუსთან შესაბამისობა;

- ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი - სტუდენტების მოტივირება, მოცემული სასწავლო კურსით მათი დაინტერესება, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება;

- სასწავლო კურსის, დარგობრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა და სხვ.

- სასწავლო კურსის მართვის უნარი - სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება, მაგალითად კონსულტაციები, ლექციაზე დროზე მოსვლა, ლექციების გაცდენა და სხვ.

6.3 ფაკულტეტის დეკანი/ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი ესწრება ლექციას და ავსებენ დადგენილ ლექტორის შეფასების ფორმას.

6.4 ადმინისტრაციის მიერ აკადემიური პერსონალისა და მონვეული სპეციალისტების საქმიანობის შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს უმაღლესი პროგრამების ფაკულტეტის საბჭოს.

7. სტუდენტთა გამოკითხვა

7.1 სტუდენტის გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებით:

- საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

7.2 სტუდენტი საუნივერსიტეტო გარემოს აფასებს დადგენილი ფორმის მიხედვით. სტუდენტის გამოკითხვა ხდება წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

7.3 სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამას აფასებს დადგენილი ფორმის მიხედვით. სტუდენტის გამოკითხვა ხდება სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე.

7.4 სტუდენტი სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე აღნიშნავს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის დონეს ამ წესის დანართი N5 დადგენილი ფორმის მიხედვით.

7.5 ამ წესით დადგენილი სტუდენტთა გამოკითხვა ანონიმურია.

7.6. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ატარებს ინტერვიუს მაღალი, საშუალო და დაბალი შედეგების მქონე სტუდენტთან. ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრება ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით.

7.7. ამ წესის 7.2, 7.3 და 7.4 პუნქტებით დადგენილი სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი, ხოლო გამოკითხვის ანალიზს ხარისხის მართვის სამსახური. სტუდენტის გამოკითხვის და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის შედეგები უნდა ეცნობოს აკადემიურ საბჭოს.

8. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

8.1 სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს სემესტრულად დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

8.2 სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები უნდა ეცნობოს ფაკულტეტის საბჭოს.

9. დასაქმებული კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის გამოკითხვა

- 9.1 შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ატარებს დასაქმებული კურსდამთავრებულისა და მისი დამსაქმებლის გამოკითხვას.
- 9.2 დასაქმებული კურსდამთავრებულისა და მის დამსაქმებელთან ინტერვიუ ტარდება დადგენილი ფორმით. ინტერვიუს ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ შერჩეული პირი. ინტერვიუს შეიძლება დაესწროს ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი.
- 9.3 კურსდამთავრებულის გამოკითხვა ტარდება ერთჯერადად სასწავლო უნივერსიტეტისათვის მისი პირველი დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში.
- 9.4 კურსდამთავრებულის დამსაქმებელთან ინტერვიუ ტარდება ერთჯერადად უნივერსიტეტისათვის კურსდამთავრებულის პირველი დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში.
- 9.5 დასაქმებული კურსდამთავრებულის გამოკითხვის და კურსდამთავრებულის დამსაქმებლის ინტერვიუს შედეგები უნდა ეცნობოს ფაკულტეტის საბჭოს.

10. სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა

- 10.1 საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად ამუშავებს მონაცემებს კურსდამთავრებულთა შრომის და განათლების ბაზარზე დასაქმების შესახებ.
- 10.2 კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მონაცემების აღრიცხვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში.
- 10.3 კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მონაცემები უნდა ეცნობოს ფაკულტეტის საბჭოს.

11. საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტიზა

- 11.1 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო უნივერსიტეტში არსებული განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა უცხოელ ან/და ადგილობრივ ექსპერტს შეფასებისათვის.
- 11.2 ექსპერტის შეფასება განიხილება ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

12. სასწავლო უნივერსიტეტის შიდა შეფასების შედეგების საჯაროობა სასწავლო უნივერსიტეტის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ საჯაროდ განთავსდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

